საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბ-კა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 287 (20828) ხუთშაბათი, 15 დეკემბერი, 1988 წელი. ფასი 3 კაპ.

ორბიტის ამბები

ფრენის მართვის ცენტრი, 14 დეკემბერი. (საქინფორმი). საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ფრენის პროგრამის შესაბამისად ალექსანდრე ვოლკოვმა, სერგეი კრიკალევმა და ჟან-ლუ კრეტიენმა დღეს განაგრძეს კვლევა-ძიება კოსმოსური მედიცინის სფეროში.

კოსმოსური ფრენის პირობებში ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე გაცვლითი პროცესების თავისებურებათა შესასწავლად დილით მოეწყო ექსპერიმენტი „მინილაბი". ექსპერიმენტების „ფიზალისა" და „ვიმინალის" მიზანია კოსმონავტების შრომისუნარიანობისა და ფსიქოლოგიური რეაქციების შესახებ მონაცემების მიღება.

საერთაშორისო ეკიპაჟის მეთაური და ფრანგი კოსმონავტი გაივლიან გულ-სისხლძარღვთა სისტემის ყოველმხრივ გამოკვლევას „გამა" მრავალფუნქციური მარეგისტრირებელი აპარატურის გამოყენებით.

გათვალისწინებულია, აგრეთვე დედამიწის ატმოსფეროს ოპტიკური მახასიათებლების და ჩრდილოეთის ნათების შესწავლის ექსპერიმენტები.

სამედიცინო კონტროლის შედეგებით, რომელსაც ყოველდღიურად აწყობს ექიმი ვალერი პოლიაკოვი, ყველა კოსმონავტი ჯანმრთელია და დიდ შრომისუნარიანობას ინარჩუნებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მორიგ სხდომაზე, რომელიც 13 დეკემბერს გაიმართა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების 11 თვის შედეგები და დასახა სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრების გადაუდებელი ღონისძიებანი. აღინიშნა ერთგვარი დადებითი ძვრები სამრეწველო პროდუქციის მიწოდების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სახელშეკრულებო ვალდებულებათა რეალიზაციაში...

სხდომაზე კრიტიკულად გააანალიზეს რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების მდგომარეობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღინიშნა სურსათ-სანოვაგესა და არასასურსათო საქონელზე მშრომელთა მოთხოვ-...

შეანიკოდ, გავზარდოთ ძალისხმევა

სომხეთში მუშაობას განაგრძობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისია

ბიძეთ ათობით ადამიანი გაატარებს განვლილი დღე-ღამის ლენინაკანში...

ბრძოლა კატასტროფის შედეგებთან

პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის

სომხეთში მომხდარი ტრაგიკული მოვლენებისადმი მთელი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს ყურადღებაა მიპყრობილი...

საბჭოების სრულუფლებიანობის განსამტკიცებლად

ასახელებენ წარმომადგენლებს საოლქო საარჩევნო კომისიებში

ფართო საჯაროობისა და დემოკრატიის ვითარებაში დაიწყო მზადება ქვეყნის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენისათვის — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებისათვის, რომელიც 1989 წლის 26 მარტს გაიმართება. საარჩევნო კამპანია ეწყობა ახლებურად, ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებული კანონპროექტების შესაბამისად. ისინი საძირკველს უყრიან საბჭოების სრულუფლებიანობას, ხალხის თვითმმართველობას. ახლა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებისა და მოწყობის ძირითად ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად ქვეყანაში მიმდინარეობს საოლქო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში წარმომადგენლების დასახელება.

მოსკოვიდან, კუიბიშევიდან, ალმა-ათიდან, ტიუმენიდან, კიევიდან, კრასნოიარსკიდან მიღებული ცნობები ცხადყოფს, რომ შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრებებზე საოლქო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში ასახელებენ ღირსეულ წარმომადგენლებს.

ცნობები საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომადგენლების დასახელების შესახებ მიღებულია ქვეყნის სხვა რეგიონებიდანაც (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზ. ა. ლაბახუას საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზურაბ აკაკის ძე ლაბახუა საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

ქ. თბილისი. 1988 წლის 13 დეკემბერი.

• • •

ზურაბ აკაკის ძე ლაბახუა დაიბადა 1938 წელს ქ. სოხუმში, სკკპ წევრია 1966 წლიდან...

ბრძოლა კატასტროფის შედეგებთან

(დასასრული)

ერთეული მოჰქონდა და პერსონალის 70 კაცი მოჰყავდა. საქმე ეხება სამოქალაქო თავდაცვის მიერ სამოქმედოდ დანაწილებულ პოლკებს. ისინი სწორედ ადამიანების საშველად მოემართებიან. გარდა ამისა, მუშაობენ წყალმომარაგების პრობლემის გადასაჭრელად, კავშირგაბმულობის მოსაგვარებლად, ეწევიან აღდგენით სამუშაოებს.

— დიმიტრი ტიმოთეს ძევ, — მიმართავს ნ. ი. რიჟკოვი დ. ტ. იაზოვს, — რას დაამატებდით?

დ. ტ. იაზოვი: არავითარი საიდუმლო არ არის, რომ უბედურების ზონაში 18990 სამხედრო მოსამსახურე მუშაობს. უშუალოდ ლენინაკანში 10626 კაცი მუშაობს. თქვენ თქვით, რომ სამხედრო-ფორმიანი ბევრი ადამიანი ნახეთ აეროპორტში. მართლაც, ჯარისკაცები აეროპორტში მუშაობენ თვითმფრინავების უსწრაფესი გადმოცლის მიზნით. ლენინაკანში გადმოსაცლელად პატარა ბაქანია, იგი სულ ხუთ თვითმფრინავს იტევს და მანქანების ბრუნვადობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გადმოვცლით მათ. ამიტომ იქაც და ერევანშიც ჯარისკაცები ამ სამუშაოებში მო-

...

წოდეთ სპიტაკს. ამ სამუშაოს ჩვენს გარდა ვერავინ შეასრულებს. აქ სპეციალისტებია საჭირო. აღსადგენია რკინიგზა, რომელიც მწყობრიდან გამოვიდა ლენინაკან-კიროვაკანის მონაკვეთზე. სწორედ ჩვენ აღვადგენთ მას, ამიტომაც გინახავთ შენობათა გაწმენდისას ცოტა სამხედრო. სხვათა შორის, მაშველი სამუშაოების დროს ჯარისკაცები კომბინეზონებში მუშაობენ და გარეგნულად არაფრით გამოირჩევიან სამოქალაქო მოსახლეობისაგან.

ნ. ი. რიჟკოვი: დიახ, სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციას ჩვენ მართლაც ძალიან რთულ, მძიმე სამუშაოებს ვავალებთ. როცა აეროპორტების გახსნისას, დაჭრილები არ მიჰყავთ, სულ 10 წუთილა გამოიყოფა ტექნიკით დატვირთული თვითმფრინავის გადმოსაცლელად. როცა თვითმფრინავი მოდის, ჯარისკაცებს დაუყოვნებლივ გადმოაქვთ ექსკავატორები და ამწეები, ვინაიდან გასათავისუფლებელია ადგილი, თორემ სხვაგვარად ვერაფერს გადაიტან. იმას, რისი გაგზავნაც რკინიგზით შეიძლება, ვგზავნით, მაგრამ ხალხს აქ მწვავედ ესაჭიროება ტექნიკა, სჭირდება კარვები, ტანსაცმელი. არმია ამ მიმართულებითაც ბევრს აკეთებს.

...

აეროდრომი კი ამ ზონაში ცოტაა — ლენინაკანსა და ერევანში. ხელს გვიშლის ზამთრის უამინდობაც. და ამიტომ დღეში 40-47 რეისზე მეტი ვერ სრულდება.

ზოგი რამ სხვა უბნებზე: მოვაწყვეთ წყალსატარი, წყალი მივა-

...

ზებს პერსპექტივას? მაგალითად, შევამჩნიე, რომ ლენინაკანიდან და სპიტაკიდან სახლების ნამტვრევები გააქვთ და, უბრალოდ, მიწაზე ყრიან. იქნებ, საამისოდ უზარმაზარი ორმოები რომ არის, ის გამოეყენებინათ? ასეთი ნაგავსაყ-

...

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

● **საანგარიშო მოხსენებას, რომელშიც საფუძვლიანად იყო გაანალიზებული ამ ბოლო სამი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ავ-კარგი, და რომლის გარშემოც გაიმართა საქმიანი, კრიტიკული და თვითკრიტიკული მსჯელობა ზუგდიდის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, იქაური კომუნისტები და უპარტიო მშრომელები კონფერენციამდე კარგა ხნით ადრე გაეცნენ.**

მისი პირველი ვარიანტი, რომელსაც, ზონების მიხედვით, რაიკომის მდივნების მონაწილეობით, გაეცნო კონფერენციის ყველა დელეგატი, განხილულ იქნა რაიკომის პლენუმსა და ყველა პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე. საანგარიშო მოხსენების თეზისები, კონფერენციის დადგენილების პროექტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, პარტიის რაიონული კომიტეტის შემადგენლობაში ასარჩევად რეკომენდებული ამხანაგების სია ფართო განხილვისათვის გამოქვეყნდა გაზეთ „მებრძოლის" ფურცლებზე.

საქმისადმი სწორედ ამგვარი მიდგომის შედეგი იყო, რომ რაიონულმა კომიტეტმა, მისმა კო-

...

რაიონში არ არის არც ერთი ზარალიანი საზოგადოებრივი მეურნეობა. არსებობს ყველა წინასწარი პირობა თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებში რაიონის სახალხო მეურნეობის მყარი ფუნქციონირებისათვის.

ძირეული შემობრუნება მოხდა რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგში — მეჩაიეობაში. პარტიის რაიკომის ინიციატივით ამჟამად შემუშავებულია ჩაის ნედლეულის მთლიანად ადგილზე გადამუშავების, დაფასოების და მომხმარებლისათვის უშუალოდ მოწოდების ერთიანი სამეურნეო ციკლი და მის ბაზაზე

...

მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობით

...

თანადგომა

ესმარებიან დაზარალებულთ

ახალციხე

პირველნი, ვინც სომხეთში დატრიალებული უბედურება გულთან ახლოს მიიტანა, ჩვენი რესპუბლიკის მრავალეროვანი მაცხოვრებლები იყვნენ. დაზარალებული მეზობელი სომეხი ხალხის დამხმარენი პირველნი ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და ახალციხის მცხოვრებნი აღმოჩნდნენ. იმავე დღეს ოპერატიულად შექმნილმა რაიონულმა შტაბებმა მაშველი ჯგუფები შექმნეს, მალე შეივსო ავადმყოფთა საწოლები რაიონულ საავადმყოფოებში, უსახლკაროდ დარჩენილი ასობით ოჯახები შეიფარეს.

გთავაზობთ ორ ფოტოსურათს, რომლებზედაც გადაღებულია ახალციხეში ციხისძირის ქ. № 16-ში მცხოვრები დიდი სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდის სარქის კოკოჩიანის ოჯახში ჩამოსული ლენინაკანის ძაფსალები ფაბრიკის მუშის ფრანც აკოფიანის ოჯახის წევრები. მათი ხუთსართულიანი შენობის დიდი ნაწილი მიწისძვრამ დაანგრია. ბედად გადარჩენილები (დედა დაშავებულია) მეორე დღეს ამ ოჯახში აღმოჩნდნენ. მეორე სურათზე აღბეჭდილი არიან ახალციხის მესამე საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც სანოვაგით ტვირთავენ ავტომანქანას დაზარალებულ რაიონში გასაგზავნად.

ვარლამ გენბიურის („კომუნისტი") ფოტო.

სოხუმი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სამედიცინო დაწესებულებაში მოქმედებს მოსახლეობისაგან სისხლის მიმღები პუნქტები. გამსვლელი ბრიგადები მუშაობენ რაიონის ცენტრებისაგან დაშორებულ მთის სოფლებშიც.

...

დაწყვიტა სომხეთში მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადარიცხოს 10 ათასი მანეთი. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს ტრესტის სხვა ქვეგანაყოფებმაც. სოხუმის რკინიგზის კვანძის სავაგონო უბნის მშრომელებმა აგრეთვე გადაურიცხეს დაზარალებულებს 10 ათასი მანეთი, ხოლო სოხუმის ქალაქის

...

გურჯაანი

...

თბილისური პური

...

გულის ძახილით

...

ხაზზეა გულმოწყალების შტაბი

...

მძლავრი ფრთებით

...

უცხოეთში

საქდესი იუწყება
14 დეკემბერი

პრიორიტეტი — ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს

სხვადასხვა „თაობის" ისტორიული ევოლუცია, ადამიანის უფლებათა ცნებები და მისი თანამედროვე მნიშვნელობა 13 დეკემბერს გახსნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კაცობრიობის ისტორიისა და თანამედროვეობის ადამიანის უფლებების" საკვლევი ცენტრში. შეხვედრა, რომელიც დაუკავშირდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების 40 წლისთავსა და საფრანგეთის რევოლუციის მიერ გამოცხადებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის მიახლოებულ 200 წლისთავს, მონაწილეობენ 15 ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერი-იურისტები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები.

ამ დარგში უნივერსალურ ღირებულებათა პრობლემები, აღიარებულებათა გამოსვლებში, სხვადასხვა საზოგადოებრივ სისტემაში ადამიანის უფლებათა სოციალურ-ეკონომიკური განპირობებულობა, მათი დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმის საკითხები წინა პლანზე გამოდის ცივილიზაციის განვითარების ახლანდელ ეტაპზე. საბჭოთა კავშირისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ისინი ეკონომიკასა და პოლიტიკურ სისტემაში მიმდინარე ცვლილებების პირობებში.

ჩვენს საზოგადოებაში ადამიანის უფლებანი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც დისკუსიების სფეროდან ახალ ფორმათა შექმნაზე, აღნიშნა საბჭოთა მეცნიერების წარმომადგენელმა. პრაქტიკულად ამ ორი-სამი წლის ყველა საკანონმდებლო აქტი მჭიდროდ უკავშირდება ამ ცნებას. ეკონომიკის დარგში, კერძოდ, მიმდინარეობს ურთიერთობათა ახალ ფორმებზე გადასვლა, ფართოვდება საწარმოო დემოკრატია. უმჯობესდება სოციალური უზრუნველყოფა. ადამიანის პოლიტიკურ უფლებათა სფეროში ძირითადი ამოცანაა შეიქმნას სსრ კავშირის კონსტიტუციაში დაფიქსირებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების მექანიზმი, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ჰუმანიტარული პრობლემატიკის საკითხთა გადაჭრის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. მთელი კაცობრიობისათვის საერთო პრობლემები — ბირთვული მშვიდობის პირობებში გადარჩენა, ეკოლოგია, კულტურულ ღირებულებათა დაცვა ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია იდეოლოგიათა განსხვავების მიუხედავად.

სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაცია, მათგან დაზარალებულთათვის ყოველმხრივი დახმარება მთელი მსოფლიოს გაერთიანების საზრუნავია. სომხეთში დამანგრეველი მიწისძვრის მსხვერპლთა დასახმარებლად მძლავრი მოძრაობა, თქვა ფრანგმა მეცნიერმა, დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა ჟ. ნორმანმა, მოწმობს, რომ მსოფლიო უბრუნდება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტის აღიარებას, რომელიმე ხალხის უბედურება მარტო მისი უბედურება როდია.

შეხვედრის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს სომხეთში დაღუპულთ.

ა. ალიოხინი, ს. ჟარკოვი,
საქდესის კორ.

მისამართი: მიწისძვრის რაიონები

დახმარება ყოველი მხრიდან

კვლავ უსაზღვროა მსოფლიოს ყველა კუთხეში გულწრფელი სურვილი დახმარების ხელი გაუწოდონ სომეხ ხალხს, ბუნების სტიქიამ ენით აუწერელი უბედურება რომ დაატეხა თავს.

ჩინეთის მთავრობა და ხალხი, იუწყება სინჰუას სააგენტო, ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ საბჭოთა კავშირს სომხეთში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო. ჩინეთის წითელი ჯვრის საზოგადოებამ გადაწყვიტა სომხეთის რესპუბლიკაში გაგზავნოს პირველი დახმარების საგნები.

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა საბჭოთა საელჩოს განუცხადა, რომ კორეის მხარე გამოყოფს სამი ათას კუბურ მეტრ მრგვალ მერქანს სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოებისათვის.

ამ დღეებში ტელეფონის ზარის წკრიალი არ წყდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საბჭოთა კავშირის მუდმივ წარმომადგენლობაში. აქ ერთ-ერთ ბანკში გახსნილია სპეციალური ანგარიში, რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატების ცალკეული მოქალაქეებისაგან და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან შემოდის ფულადი სახსრები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა სახელმწიფო სახსრებიდან გამოყო 10 მილიონი მარკა სომხეთში მიწისძვრის შედეგების აღმოსაფხვრელად. კატასტროფის რაიონში გაიგზავნა 16 დიდი ტვირთამწეობის ამწე. დასავლეთ გერმანიის საგარეო-პოლიტიკურმა უწყებამ დაზარალებულთა დასახმარებლად გამოყო ერთი მილიონი მარკა, ხოლო ჟურნალ „შპიგელის" გამომცემელმა რ. აუგშტაინმა გაიღო ასევე 1 მილიონი მარკა.

ესპანეთის ხელოვნების ცნობილმა მოღვაწეებმა გადაწყვიტეს ბარსელონაში მოაწყონ კონცერტები, რომელთა შემოსავალი გაიგზავნება სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

სომეხი ხალხის ტრაგედია გულისტკივილით აღიქვეს საბერძნეთში. აქ შექმნილი სოლიდარობის კომიტეტი აგროვებს ფულად შეწირულებებს. რეისისათვის ამზადებენ სამხედრო თვითმფრინავს, რომელიც სომხეთში ჩაიტანს 35 ტონა მედიკამენტს. ფულად სახსრებს აგროვებენ აგრეთვე საბერძნეთის ეკლესია, ათენისა და სალონიკის მუნიციპალური საბჭოები.

ეგვიპტის მთავრობამ გადაწყვიტა მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს მიწისძვრისგან დაზარალებულთ — სომხეთში გაიგზავნება მედიკამენტები, ტანსაცმელი და სურსათი. სპეციალური ტვირთის პირველი პარტია უკვე გაიგზავნა კაიროდან საბჭოთა კავშირში. თვალსაჩინო ეგვიპტელმა ბიზნესმენმა მუჰამედ რაშიდმა საბჭოთა საელჩოს ერევანში გასაგზავნად გადასცა ერთი ტონა საკვები კონცენტრატები, რომლებსაც ერთ-ერთი მისი საწარმო ამზადებს.

როგორც ინდონეზიის სახელმწიფო მდივანმა მურდიანომ განაცხადა, ქვეყნის პრეზიდენტმა სუხარტომ მიიღო გადაწყვეტილება გამოყოს 100 ათასი დოლარი.

სამხრეთ კორეის მთავრობამ, იუწყება იაპონიის კიოდო ცუსინის სააგენტო, მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირში გაგზავნოს ექიმთა ჯგუფი და მედიკამენტების დიდი პარტია.

ბრაზილიის წითელი ჯვრის საზოგადოების ინიციატივით ქვეყანაში გრძელდება ფულადი შეწირულობების შეგროვება, რისთვისაც „ბრადესკუს" ბანკში გახსნილია სპეციალური ანგარიში. საჭირო დახმარების სურვილი გამოთქვეს მსხვილმა სახელმწიფო კომპანიებმა, რომლებიც სსრ კავშირთან ვაჭრობენ.

● კუბის რესპუბლიკაში მიმდინარეობს მასობრივი საზოგადოებრივი კამპანია სომეხი ხალხის დასახმარებლად.
სურათზე: ამ დღეებში რიგები სადონორო პუნქტებთან ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.
პრესა-ლატინა-საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

დედა ტერეზას გადაწყვეტილება

დელი. ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატმა და მოწყალების ორდენის მეთაურმა დედა ტერეზამ გადაწყვიტა ჩავიდეს საბჭოთა კავშირში, რათა დახმარება აღმოუჩინოს სომხეთში კატასტროფული მიწისძვრისაგან დაზარალებულთ. როგორც ინდოეთის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ამჟამად რომში მიმავალი დედა ტერეზა იქედან ხუთი მოლოზნის თანხლებით გაემგზავრება საბჭოთა კავშირს.

ყველა ადამიანი მოვალეა გამოეხმაუროს და დაეხმაროს სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთ", — განაცხადა დედა ტერეზამ ინდოეთის საინფორმაციო სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში.

● გფრ

ხელოვნური შეზღუდვების აღმოსაფხვრელად

ბონი. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მიიჩნევს მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო ვითარების სტაბილიზაციას ევროპასა და მთელ მსოფლიოში. იგი მხარს უჭერს სოციალისტურ ქვეყნებში ექსპორტის საკოორდინაციო კომიტეტის ნუსხების შემდგომ გადასინჯვას.

ეს განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა ჰელმუტ ჰაუსმანმა ბუნდესტაგში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე.

მან აღნიშნა, რომ 1982-1987 წლებში სოციალისტურ ქვეყნებში ექსპორტის საკოორდინაციო კომიტეტის მიერ შემოღებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით ფედერაციული რესპუბლიკა იძულებული გახდა უარი ეთქვა მთელი რიგი ხელსაყრელი შეკვეთების რეალიზაციაზე, განსაკუთრებით ელექტრონულ მრეწველობაში, რომელთა თანხა 260 მილიონ მარკაზე მეტს შეადგენს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას არასაკმარისად მიაჩნია სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის ლიბერალიზაციის ღონისძიებანი. თავის მოკავშირეებთან მოლაპარაკების დროს იგი ყოველ ღონეს იხმარს, რათა მიაღწიოს მორიგებებს სოციალისტურ ქვეყნებში ექსპორტის საკოორდინაციო კომიტეტის იმ ნუსხების შემცირების შესახებ, რომლებიც უკვე დღეს ვერ აკმაყოფილებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს, აღნიშნა მინისტრმა.

შემთხვევა

ჩამოვარდა „ბოინგ-707"

კაირო. ნიგერიის „ბოინგ-707" სატრანსპორტო თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა ეგვიპტის ქალაქ ლუქსორიდან 65 კილომეტრზე. როგორც მენას სააგენტო იუწყება, თვითმფრინავის ეკიპაჟის რვავე წევრი დაიღუპა.

თვითმფრინავმა, რომელიც დარ-ეს-სალამ — ბრიუსელის მარშრუტით მიფრინავდა, საწვავის უკმარისობის გამო კაიროს აეროპორტში დაშვების ნებართვა ითხოვა. მაგრამ სქელი ნისლის პირობებში კაიროს აეროდრომზე დაშვება ვერ მოხერხდა. ხომალდის მეთაურს შესთავაზეს ლუქსორს გაფრენილიყო, რომელიც კაიროდან 676 კილომეტრზე მდებარეობს. ლუქსორთან მიახლოებისას ეკიპაჟთან კავშირი მოულოდნელად შეწყდა. „ბოინგ-707" სოფელ ყორამ ომრანში ჩამოვარდა, რის შედეგადაც სოფლის ხუთი მკვიდრი დაიღუპა, დაინგრა სამი სახლი.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომის შესახებ

1988 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ სოფიაში გაიმართება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომა.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **პრაღა.** „ინტერფოტოკლუბ-88" — ასე ეწოდება ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ვსეტინში გახსნილ საერთაშორისო გამოფენას. სამოყვარულო ფოტოგრაფიის მიღწევათა ამ წარმომადგენლობით დათვალიერებაში, რომელიც უკვე მე-15-ჯერ ეწყობა, მონაწილეობენ მსოფლიოს 24 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების კლუბები და გაერთიანებები. მათ წარმოადგინეს 2,5 ათასზე მეტი ფერადი და შავ-თეთრი ფოტოსურათი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ თემებზე.

● **ხართუმი.** სუდანის საშუალო სკოლების მასწავლებლებმა გამოაცხადეს 10-დღიანი გაფიცვა. ისინი მოითხოვენ გაუმჯობესდეს მათი შრომის პირობები და შეიცვალოს განათლების სამინისტროს სტრუქტურა.

კარლო კალაძე



ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ დიდი დანაკლისი განიცადა — ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, 1947 წლიდან სკკპ წევრი კარლო კალაძე.

კ. კალაძე დაიბადა 1904 წელს ქალაქ ქუთაისში, ცნობილი რევოლუციონერისა და ჟურნალისტის რაჟდენ კალაძის ოჯახში. 1924 წელს რედაქტორობდა ჟურნალ „პროლემაფს", 1927-1930 წლებში იყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი. 1931 წელს მისი უშუალო ინიციატივით ქუთაისში დაარსდა ლიტერატურული გაზეთი „სიტყვა და საქმე". შემდგომ წლებში მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურულ კონსულტანტად, ჟურნალ „მნათობის" რედაქტორის მოადგილედ, საქართველოს რადიოს ლიტერატურული გადაცემების მთავარ რედაქტორად, ჟურნალ „ნიანგის" მთავარ რედაქტორად, საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის დირექტორად. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა გამომცემლობა „მერანს".

კარლო კალაძის პირველი ლექსები გამოქვეყნდა 1920 წელს, არალეგალური გაზეთის „საქართველოს კომუნისტის" ფურცლებზე. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ კომკავშირულ ჟურნალ-გაზეთებში — „მომავალში", „ახალგაზრდა ლენინელში", „ხპარტაკში", „ახალგაზრდა კომუნისტში".

კ. კალაძე თითქმის შვიდი ათეული წლის მანძილზე მგზნებარედ ემსახურებოდა ჩვენს ქვეყანაში ახალი ცხოვრების დამკვიდრებას, საბჭოთა მხატვრული სიტყვის განუხრელ აღმავლობას. პოეტის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება განმსჭვალული იყო პატრიოტული მგზნებარებით, მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით, მის ლირიკულ ლექსებსა და პოემებში ნათლად აისახა ჩვენი ადამიანების მისწრაფებები, ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ეპოქალური ძვრები. პოეტის ბევრი ლირიკული ლექსი პოპულარულ სიმღერად იქცა.

პოეტი განსაკუთრებული შემოქმედებითი აქტიურობით გამოირჩეოდა დიდი სამამულო ომის წლებში. რამდენიმე ხანს უშუალოდ ფრონტზე იყო და შექმნა ლექსებისა და პოემების წიგნი „შეხვედრები ბრძოლის ველზე".

კ. კალაძის შემოქმედებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ხალხთა მეგობრობის თემას. მისი პოეზია ფართოდ არის ცნობილი მთელ ჩვენს ქვეყანაში, თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა თითქმის ყველა და საზღვარგარეთის ქვეყნების მრავალ ენაზე. მის ლექსებსა და პოემებს თარგმნიდნენ მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები.

კ. კალაძემ შესანიშნავად აამეტყველა ქართულ ენაზე რუსული, უკრაინული, აზერბაიჯანული, სომხური და სხვა მოძმე ხალხების, აგრეთვე პოლონური პოეზიის ნიმუშები.

კ. კალაძემ მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებას. ეროვნული დრამატურგიის ახალი სიტყვა იყო პიესები „როგორ", „ბატიჯი" და სხვები, რომლებიც 1927-1930 წლებში კოტე მარჯანიშვილმა დადგა თავისი თეატრის სცენაზე და რომლებსაც დიდი წარმატება ხვდათ წილად. კ. კალაძის პიესები „სოფლის ხალამოები", „ხახლი მტკვრის პირას" და სხვები იდგმებოდა აგრეთვე თბილისის რუსთაველის სახელობისა და მოძმე რესპუბლიკების თეატრების სცენებზე.

კ. კალაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღეებიდანვე აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. ის იყო ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი 1924 წელს ჩამოყალიბებული ახალგაზრდა პროლეტარული მწერლების ორგანიზაციისა. მან სხვა ახალგაზრდა მწერლებთან ერთად დიდი როლი შეასრულა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნაში. იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი და საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი. წლების მანძილზე იყო მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, სხვადასხვა დროს არჩეული იყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა პოეტის შრომა და ღვაწლი. კ. კალაძე დაჯილდოებული იყო ოქტომბრის რევოლუციის, სამი შრომის წითელი დროშის და საპატიო ნიშნის ორდენებით, მრავალი მედლით. 1982 წელს ბოლო წლებში გამოქვეყნებული ლექსებისათვის მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანე". კ. კალაძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, არჩეული იყო ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქედ.

კარლო კალაძის სახელი მარად დარჩება ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

ჯ. ი. პატიაშვილი, ა. გ. ბილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ბ. დ. მახარაშვილი, ნ. ა. ფოფხაძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ვ. გ. ლორთქიფანიძე, ვ. რ. ასათიანი, ი. გ. აბაშიძე, გ. გ. აბაშიძე, მ. გ. ბარათაშვილი, ს. მ. ბერულავა, ა. კ. გომიაშვილი, ნ. ვ. გურეშიძე, ი. კ. თარბა, ა. პ. კალანდაძე, დ. ვ. კვიცარიძე, მ. ს. ლებანიძე, გ. დ. ლორთქიფანიძე, ა. შ. იოსელიანი, ნ. გ. ჩერქეზიშვილი, მ. ი. მაჭავარიანი, ს. ა. ნარიმანიძე, გ. კ. ნატროშვილი, შ. გ. ნიშნიანიძე, ე. ა. ნიჟარაძე, ნ. ა. ქვანია, ა. ს. სულაკაური, გ. ი. ფანჯიკიძე, ჯ. ნ. ღვინჯილია, ჯ. ა. ჩარკვიანი, გ. შ. ციციშვილი, ჯ. მ. ძუცათი, ო. ს. ჭელიძე, თ. ი. ჭილაძე, ო. ი. ჭილაძე, ს. ე. ჭილაია, ფ. ი. ხალვაში, ე. დ. ჯაველიძე, რ. ა. ჯაფარიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ა. ნ. ჯონუა.

სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული

კარლო კალაძე, როგორც იტყვიან, უკვე მოხუცი წავიდა ჩვენგან, მაგრამ იგი ჩემთვის მუდამ ახალგაზრდა კარლო კალაძედ რჩება. იგი ხომ ჩემზე სულ სამიოდე წლით იყო უფროსი და თითქმის მთელმა მისმა ცხოვრებამ ჩემს თვალწინ ჩაიარა.

მხოლოდ სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებულ კაცს შეეძლო გადაეტანა იმდენი ოჯახური მწუხარება და ოთხმოცი წლის ზღურბლი ასე გადაელახა. უკანასკნელად იგი თითქმის სულ მარტოდმარტო დარჩა თავის ბინაში, ოჯახის წევრთა პორტრეტებთან ერთად და მისი სახელოვანი მეუღლის მხატვარ თამარ აბაკელიას და ასევე სახელოვანი შვილის მხატვრის გულდა კალაძის ფერწერულ ქმნილებებთან. მისი ბინა მუზეუმს, ან სამხატვრო გამოფენას უფრო მოგაგონებთ. ამ ბინის კედლებზე ქართული საბჭოთა ხელოვნების — ფერწერის, თეატრის, ლიტერატურის განვითარების მთელი ეპოქაა 30-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა პოეტი კარლო კალაძე და მხატვარი თამარ აბაკელია ერთად მუშაობდნენ მარჯანიშვილის თეატრში, — ერთი ამ თეატრის დირექტორად, მეორე ამ თეატრის ერთ მთავარ მხატვრად.

კარლო კალაძის შემოქმედებითი ცხოვრების მთელი მრავალათეული წლის გზაზე განსაკუთრებით ნაყოფიერი სწორედ ის ოცდაათიანი წლებია, სწორედ იმ წლებში დაწერა მან თავისი გახმაურებული პიესები, რომლებიც მარჯანიშვილის თეატრში, თვით კოტე მარჯანიშვილის სცენური განსხეულების შედეგად, მაშინ მთელ მოვლენად ითვლებოდა, განსაკუთრებით ქუთაისის თეატრის სცენაზე. იმხანად კი, როგორც ცნობილია, მარჯანიშვილის თეატრი ქუთაისში მუშაობდა და იქ ისეთი დიდი მსახიობები ილვწოდნენ, რომელთა სახელებიც ამშვენებენ და ყოველთვისაც დაამშვენებენ ქართული თეატრის მდიდარ ისტორიას.

იმავე ხანებში გამოაქვეყნა კარლო კალაძემ ლექსები და პოემებიც, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ პრობლემებზე.

დიდებული იყო მაშინდელი ქუთაისის ინტელიგენცია, იმ ხანებშივე შენდებოდა ჰიდროელექტროსადგური „რიონჰესი" და იქ თავმოყრილი იყო ინჟინერ-ტექნიკოსთა მთელი რაზმი, სახელოვანი მშენებლის ვ. ჯიქიას მეთაურობით. იმ წლებში აშენდა ქალაქ ქუთაისში მრავალი რამ, დღესაც რომ ამშვენებს საქართველოს ამ წარმტაც ქალაქს.

კარლო კალაძე ამ მოვლენათა ერთი ახალგაზრდა, უაქტიურესი მონაწილე იყო, თავისი დაუცხრომელი ბუნებით, ენერგიით, გონებამახვილობით, ლხინისა და ზეიმის მეთაურობით.

შემდეგ დიდი სამამულო ომი. კარლო კალაძე ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზეა. აქ მან დაწერა არაერთი მომნოდებელი ლექსი ქართველი მეომრებისადმი, მათ შორის სიმღერად ქცეული „ჩემი გმირი გინოდე"... აქეთ კი, „ზურგში" ასევე სიმღერად იყო ქცეული „რუსთავისკენ, მტკვარო..."

წავიდა ჩვენგან კარლო კალაძე, როგორც იტყვიან, საკმაოდ მოხუცი, მაგრამ ჩემს თვალწინ იგივე, ის ძველი, ახალგაზრდა, მხიარული, მრავალჭირგადახდილი კარლო კალაძე, სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტი და ადამიანი. მშვიდობით ჩემო კარლო!

ირაკლი აბაშიძე.

მშვიდობით!

ხალისიანი კაცი ჩანდა, არადა, — შინაგანად სევდიანი იყო. ხუმრობით ნიღბავდა საკუთარ სევდას.

მიზეზი კი, ვაგლახ, არაერთი ჰქონდა სევდისა...

მასთან ერთად არაერთგზის მიმოგზაურია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: აფხაზეთში, აჭარაში, იმერეთში, სამეგრელოში... რუსეთშიც ვყოფილვართ ხშირად.

იმპროვიზაციის ნიჭი ჰქონდა საოცარი.

მე ახლაც მახსოვს მისი მოხდენილი სიტყვა, — წარმოთქმული ესენინის სოფელში, — სუფრაზე...

ექსპრომტისა და კალამბურის ძალდაუტანებელი ოსტატი, ყველგან და ყოველთვის სიხარულის გამჩაღებელი, მუდამ ანთებული! — ასეთია კარლო კალაძის, როგორც კაცის, არასრული პორტრეტი.

ადამიანის, სიცოცხლის, დღევანდელი დღის მძაფრი სიყვარულით ედგა სული. ჩვენი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა მუდამ. დღევანდელი დღე! — აი, მისი პოეზიის მთავარი თემა.

თავისებურად ეროვნულია პოეზია კარლოსი. შეიძლება უცნაურად გაისმას, მაგრამ მაინც ვიტყვი: არამარტო ტანისამოსი, ხასიათიც არსებობს საგარეო და საშინაო; კარლო კალაძის ლექსებში სწორედ ეს საგარეო ხასიათი სჭარბობს! — ქართული საგარეო ხასიათი! — ლაღი, უხვი, ბადრი.

მზისკენ გასროლილი ტოროლა! ზღვისკენ გატყორცნილი ენგური და ბედი მათი გახლავთ კარლო კალაძის პოეტური კრედო.

ძვირფასო კარლო! — შენთვის ნამდვილად ალალია დიდუბის წმინდა მიწა!

მშვიდობით!

მუხრან მაჭავარიანი.

წრთობა—სიყმაწვილიდანვე!

ამას წინათ საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტში თელავის მე-8 საშუალო სკოლის...

რომ, წარმოუდგენელია ახალბედებთან მუშაობა, ამიტომაც კლუბი იძულებულია ახალმოსულთ უარი უთხრას მიღებაზე.

არაერთხელ მიგვიმართავს...

ავიღოთ თერჯოლის მაგალითი. რამდენიმე წლის წინათ იქ ააგეს ორსართულიანი შენობა დოსააფის რაიკომისა და მისი სპორტულ-ტექნიკური კლუბი...

ბათა, მათ შორის სასროლი ტირის, განვითარებაც. და ეს მოხდა მაშინ, როცა ქარხნის ახლანდელი გენერალური დირექტორი რ. ჭეიშვილი აქ პარტი...

ოდა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ აგრეთვე მეზობელი მოძმე რესპუბლიკებისთვისაც. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები კი...

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში

დაიწყო მხარეთა კამათი

12-18 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში გაიმართა მხარეთა კამათი შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ პასუხისმგებელ თანამშრომელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამო, რომლებსაც ბრალად ედებათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით მექრთამეობა და ანგარებითი მიზნით სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება. საქმეს განიხილავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრის, სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილის, იუსტიციის გენერალ-მაიორის მ. ა. მაროვის თავმჯდომარეობით.

პირველი გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებელი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის თანაშემწე ა. ვ. სბოევი.

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე სახელმწიფო ბრალმდებელმა აღადგინა საქმის გარემოებანი, ჩამოაყალიბა თავისი დასკვნები წაყენებული ბრალდების დამტკიცებულობისა და განსასჯელთა ბრალეულობის ზომის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ განსასჯელთა სკამზე სხედან ყოფილი: სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ჩურბანოვი, უზბეკეთის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი იახიაევი, უზბეკეთის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები კახრამანოვი და ბეგელმანი, ხორეზმის საოლქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი საბიროვი, ტაშკენტის საოლქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ჯამალოვი, კაშკადარის საოლქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ნორბუტაევი, ნამანგანის საოლქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი მახამაჯანოვი, ბუხარის საოლქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ნოროვი.

გააანალიზა რა თითოეული განსასჯელის მიმართ საქმის გამო ბრალდების ყველა ეპიზოდი, სახელმწიფო ბრალმდებელმა გამოჰყო და დაასაბუთა მათგან ისინი, რომლებიც, მისი თვალსაზრისით, საკმარისად დადასტურდა სასამართლოში, და ითხოვა განიხილონ ბრალდებიდან იმ ეპიზოდების გამორიცხვის საკითხი, რომლებიც წინასწარი გამოძიების ორგანოებმა ბრალად ჩაუთვალეს განსასჯელებს და უცილობელი დადასტურება ვერ ჰპოვა სასამართლო გარჩევის მსვლელობაში. კერძოდ, პროკურორმა ითხოვა ჩურბანოვის ბრალდებიდან მისთვის ინკრიმინირებული 680 ათასი მანეთი მიღებული ქრთამიდან გამორიცხონ 275 ათასი მანეთი, რომელიც არ დადასტურდა სასამართლო გამოძიების მსვლელობაში. იახიაევის მიერ 146 ათასი მანეთი თანხის 89 ქრთამის მიღების ბრალდებიდან სახელმწიფო ბრალმდებელმა ითხოვა დამტკიცებულად დატოვონ 114 ათასი მანეთი თანხის 68 ქრთამი.

გენერალური პროკურორის თანაშემწემ ითხოვა შეიტანონ შესწორებანი დანარჩენი განსასჯელების მიერ ქრთამის მიცემასა და მიღებასთან დაკავშირებული ინკრიმინირებული ფულადი თანხების მიმართ.

ზემოთქმულისა და ჩადენილ დანაშაულობათა ერთობლიობის გათვალისწინებით სახელმწიფო ბრალმდებელმა ითხოვა განუსაზღვრონ სასჯელის ზომა: ჩურბანოვსა და იახიაევს — 15 წლის თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით (ჩურბანოვს პირველი ხუთი წელი საპატიმროში); კახრამანოვს — 13 წლის თავისუფლების აღკვეთა; საბიროვს, ნორბუტაევს, მახამაჯანოვს, ნოროვს — 10 წლის თავისუფლების აღკვეთა; ჯამალოვს — 7 წლის თავისუფლების აღკვეთა; ბეგელმანს — 6 წლის თავისუფლების აღკვეთა. ყველას — გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში მოხდით, ყველას — ქონების კონფისკაციით.

მხარეთა კამათი გრძელდება. მცირე შესვენების შემდეგ სასამართლო დარბაზში სიტყვას აიღებენ ადვოკატები.

ვ. იტკინი,
საქდესის სპეც. კორ.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი



● მეჯვარეები.
● არა, არ დაარღვიეთ, უბრალოდ, მომილოცნია!
სიმონ კილაძის ფოტო.

წარდგენილია „ხუთწლედის მატიანის" პრემიაზე

წელს კინოსა და ტელევიზიის დარგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის" მაძიებელთა კონკურსი ერთობ „ხალხმრავალი" აღმოჩნდა. განსახილველად წარმოდგენილია დოკუმენტური კინოფილმი „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!" (ფილმის შემქმნელთა შემოქმედებითი ჯგუფი: სცენარის თანაავტორი ჭ. ამირეჯიბი, სცენარის თანაავტორი და რეჟისორი ა. ელენტი, ოპერატორი გ. როგავა, სიმღერების ტექსტის ავტორი მ. ფოცხიშვილი), სატელევიზიო ფილმების ციკლი „ლელოს შემობრუნება", „ლახტის გაკვეთილი", „აბაიო და აბა ჰეი!" (რეჟისორი ლ. სიხარულიძე), მხატვრული კინოფილმი „საფეხური" (რეჟისორი — ა. რეხვიაშვილი).

ამ სურათების ავტორები განსხვავებული მსოფლაღქმისა და ესთეტიკური მისწრაფებების მქონე შემოქმედნი არიან — მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალობები ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც, რომლებსაც თავისი განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ეროვნული კინემატოგ-

...

გან შედგენილ ერთგვარ „კინემატოგრაფიულ ალბომს", რომლებსაც ჩვენ ავტორთან და ფილმის მონაწილეებთან ერთად „ვათვალიერებთ".

ფოტოსურათებთან ერთად ფილმში გამოყენებულია აფიშები, კინოქრონიკა, რადიო და ტელერეპორტაჟების, მხატვრული ფილმის, მარიონეტებისა და დრამატული თეატრების სპექტაკლების ფრაგმენტები, ინტერვიუ. ამ ნაირგვაროვან ფაქტორებს რეჟისორი თავის ხელოვნებაში უკვე ნაცადი „კოლაჟის" პრინციპით აკავშირებს. ყოველგვარი სტერეოტიპებისაგან თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნება ამ კომპონენტებისაგან ქმნის რიტმულ მრავალფეროვნებასა და მოულოდნელობებზე აგებულ ჰარმონიულ კომპოზიციას — კარგი საფეხბურთო მატჩივით ცოცხალ,

...

კვლავ მიუბრუნდა სპორტულ თემატიკას. ამჯერად მისი ყურადღების არეში ეროვნული სპორტული თამაშობანი — ლელო და ლახტი მოექცა.

...

ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმი „საფეხური" (1986 წ.) შარშან დეკემბერში გამოვიდა თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. ამ სურათმა უკვე მოიპოვა აღიარება მაყურებელთა იმ წრეებში, რომლებიც კინოში,

...

კინოკამერით დანახული თანამედროვეობა

...

რომლებიც რეჟისორმა ფილმის კონცეფციის შესატყვისად შეარჩია, კომენტარის სახით მიჰყვება მისივე შერჩეული უნიკალური მასალისაგან — გაყვითლებული და ფერგადასული ფოტოებისა-

...

ფილმი „ფეხბურთი უბურთოდ" (გ. კანდელაკთან ერთად), ქართული სპორტული კინოს კლასიკად იქცა.

სამი მხატვრული და ათზე მეტი დოკუმენტური ფილმის გადაღების შემდეგ ლ. სიხარულიძე

...

საპუბლიკოდ, ლ. სიხარულიძის ახალი ფილმი „აბაიო და აბა ჰეი!" („ტრიბუნების ოთხი მხარე") სათქმელითაც და მხატვრული გააზრებითაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ციკლის პირველ ორ ფილმს.

...

ოუქცია, დახვეწილი რეჟისურა, სტილის სინატიფე „საფეხურის" ავტორს რაფინირებულ ესთეტად, მაღალი კლასის კინოოსტატად წარმოგვიდგენს.

მარინე კერესელიძე.

● ფაქტი ● მოვლენა ● კომენტარი

შეიქმნა რუსთაველის საზოგადოების რაიონული ორგანიზაცია

● **სამტრედიაში** გაიმართა საქართველოს რუსთაველის საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია. მისი გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს სამტრედიის პირველი სამუსიკო სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ოთარ შანიძე. კონფერენციაზე ადგილობრივი ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებზე ილაპარაკა საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოა-

...

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში ათასობით ქართველი ახალგაზრდა სწავლობს. მათი დიდი ნაწილი, ცოდნას მოწყურებული, ძნელ პირობებში, მშობლიურ კერას მოწყვეტილი, თავდაუზოგავად ეუფლება მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სხვადასხვა დარგს.

მაგრამ საიდუმლო არ არის, რომ იმ ახალგაზრდების არც თუ მცირე ნაწილი, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ „მოეწყვნენ" უმაღლეს სასწავლებლებში, ვერ ართმევს თავს სწავლას და თანდათანობით, სხვადასხვა ცდუნებას აყოლილი, მრუდე გზას ადგება (უკანონო ვაჭრობა, ქურდობა, ყალთაბანდობა, ბანდიტიზმი, ნარკომანია...). ასეთი პირები ბედის ანაბარა არიან მიტოვებული და უფრო და უფრო ეფლობიან სამართალდარღვევათა ჭაობში. მათ თვალყურს ადევნებენ მილიციის ორგანოები და, ჩვეულებრივ, სათანადოდ მიუზღავენ კიდევაც... ასეთი ახალგაზრდების უმეტესობა საზოგადოებისათვის დაკარგულია.

ამას მოსდევს ის, რომ დროდადრო საკავშირო პრესაში იბეჭდება მათი ნამოქმედარის შესახებ და ჩირქი ეცხება ჩვენს რესპუბლიკას. სხვადასხვა ჯურის ობივატელები (და არამარტო ასეთები) ეჭვის თვალით უყურებენ ამა თუ იმ ქალაქში ცოდნის მისაღებად თუ სხვა მიზნით ჩასულ პატიოსან ქართველ ახალგაზრდებსაც.

...

წერილი „კომუნისტს"

ნეულ საკითხებზე, გაჭირვებულთ შეძლებისდაგვარად დაეხმარებიან, არ მიატოვებენ უყურადღებოდ.

გავიხსენოთ ძველი ქართველთა სათვისტომოები. სამშობლოდან შორს მყოფნი ერთმანეთს ედგნენ მხარში, ერთმანეთის იმედით იყვნენ, უადვილებდნენ ერთმანეთს ცხოვრებას.

ჩვენ უმაღლესი განათლების მისაღებად წასულებზე დავიწ-

...

კერების შექმნის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენების, რელიგიურ ... რომში".

ქართველთა ... მაკოორდინირებელი ცენტრი იქნება თბილისში, თუნდაც იმავე საქართველოს სსრ რუსთაველის საზოგადოების ფარგლებში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ღონისძიება საგრძნობლად შეამცირებდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი ახალგაზრდების მიერ ჩადენილ დანაშაულს. ქართველთა სათვისტომოების

შევქმნათ ქართველთა სათვისტომოება

ყეთ საუბარი, თორემ რამდენია სხვა მიზნით (დროებით თუ მუდმივად) მცხოვრები ქართველი სხვადასხვა ქალაქში! პროფტექნიკურ სასწავლებელთა მოსწავლეები, სხვადასხვა მშენებლობაზე თუ ფაბრიკა-ქარხნებში, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებებში მომუშავენი, სტაჟიო-

...

ერთ-ერთ დანიშნულებად, როგორც ზევითაც ვთქვით, მიგვაჩნია მეტ-ნაკლებად უნებისყოფო ახალგაზრდების სწორ გზაზე დაყენება, მათზე კეთილმყოფელი გავლენის მოხდენა, რაც მთავარია, უდიდეს სარგებლობას მოუტანენ ისინი იმ ახალგაზრდებსაც, რომლებიც მარ-

...

ზავთ, სახელწოდება სხვა დავარქვათ). ეს ორგანიზაციები გააერთიანებენ მათ, ეყოლებათ არჩეული ხელმძღვანელი ბირთვი, ექნებათ წესდება, ეცოდინებათ ყველას ასავალ-დასავალი, ვის რა უჭირს და ვის რა ულხინს, დროდადრო მოაწყობენ შეკრებებს, ისაუბრებენ მტკივ-

ბების ფარგლებს გარეთ მცხოვრებმა ან ამ ფორმირებათა არმქონე ეროვნებებმა მიიღონ მეტი შესაძლებლობანი ეროვნულკულტურული მოთხოვნილებების რეალიზაციისათვის, განსაკუთრებით განათლების, ურთიერთობის, ხალხური შემოქმედების, აგრეთვე ეროვნული კულტურის

საქმეში.

მიხეილ ჭაბაშვილი,
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე

ქალაქები ლენინაკანი და ამასია ქვეყნის სეისმური დარაიონების სახელმწიფო რუკაზე, რომელიც მხოლოდ სეისმური მონაცემების მიხედვით არის შედგენილი, 8-ბალიან მიწისძვრებს განეკუთვნება, დანარჩენი, განსაკუთრებით დაზარალებული რაიონები — 7-ბალიანს. მაგრამ მიწისძვრის ძალამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ამ ვარაუდებს. დედამიწის ზედაპირზე ბიძგების ძალა თორმეტბალიანი სკალით ფასდება, ნაგებობათა ნგრევის მიხედვით. ნგრევის არე სუბგანედური მიმართულებით ლენინაკანიდან და ამასიიდან აღმოსავლ-

ძვრამ 8 ბალს მიაღწია. მაშინ გარნიში ბერძნული კლასიკური ტაძარი დაინგრა (ჩვენს ხანაში კვლავ აღადგინეს). ზანგეზურის 1931 წლის მიწისძვრა ცხრაბალიანი იყო. 1926 წელს ლენინაკანში ბიძგმა 8-9 ბალს მიაღწია, მაგნიტუდამ — 5,7-ს. სხვა, მათ შორის ნაკლები ძალის ბიძგები ხშირად ხდება სხვადასხვა რაიონში, მაგრამ ყველა ეს მიწისძვრა აქტიური ნარღვევების ზოლზე მოხდა, რაც ბრწყინვალედ დაამტკიცა სომეხმა მეცნიერმა გ. სიმონიანმა.

როგორც ჩანს, 1988 წლის კატასტროფული მიწისძვრა სომხე-

...

ბული ტერიტორიების კონტაქტის ადგილებში. სეისმოგენური ზონები, ანუ მიწისძვრების გენერაციის ზონები და ამ უკანასკნელთა მახასიათებლები სეისმური დარაიონების რუკებზე აისახება. ასეთი რუკები საჭიროა სეისმომედეგი მშენებლობის მიზანშეწონილი დაგეგმვისა და დაპროექტებისათვის. ეს არის დამანგრეველი მიწისძვრების დამღუპველი შედეგების შემცირების მთავარი გზა.

მიწისძვრების კავშირი აქტიურ ნარღვევებთან საყოველთაოდ დამტკიცდა. ჩვენს წინადადებას ნარღვევებით განპირობებული სეისმოგენური ზონებისა და სეისმური დარაიონების რუკების შედგენის შესახებ ფართოდ ... ბენ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ. ირანში, ინდოეთში,

სპეციალისტის კომენტარი

შესაძლებელია თუ არა წინასწარმეტყველება?

...

კვეთის შესრულების ვადა დამოკიდებულია ნაკეთობის სირთულეზე — სამიდან ოც დღემდე. ახლა მომხმარებელს შევთავაზეთ სიახლე ავეჯის შენაკრები სასტუმრო ოთახისათვის — მაღალხარისხოვანი ტყავის შემცველით გადაკრული დივანი და ორი სავარძელი. ეს შენაკრები ვფიქრობთ ბევრს მოეწონება.

ზაფხულის პერიოდში მაღაზია-სალონში მუშაობს ბარი, სადაც შეგიძლიათ მიირთვათ გამაგრილებელი სასმელები, ნაყინი.

რუბრიკისათვის გამოყენებულია საკდესის, საქინფორმისა და „კომუნისტის" კორესპონდენტთა მასალები.

ბლოკები სხვადასხვა დროს ნარღვევების მიმართულებით გადაადგილდება და მიწისძვრას იწვევს. გადაადგილებული ბლოკური სისტემების სიდიდე განსაზღვრავს მიწისძვრის მაგნიტუდას და ინტენსიურობას. ისტორიიდან ცნობილია, რომ სხვადასხვა ხანაში ძლიერი ბიძგები ყოფილა სომხეთის ხან ერთ, ხან მეორე რაიონში. მაგალითად, ერევნის სიღრმისეული ნარღვევის ზონაში, არარატის ველის მახლობლად, 851-893 წლებში მიწისძვრებს არაერთხელ დაუნგრევია ქალაქი დვინი — სომხეთის ყოფილი დედაქალაქი, და ამიტომ მაშინ დედაქალაქი ანისში გადაუტანიათ. ამ ბიძგების ძალა შეფასებულია 8-9 ბალად (დანგრეულ ნაგებობათა ნაშთები შემორჩენილია). გარნის 1679 წლის მიწის-

ნაბამენა იმ ბლოკების ზღვრებს, რომლებიც 7-მაგნიტუდიან მიწისძვრებს იწვევს. მიწისძვრის მაგნიტუდა (ენერგია) რიხტერის სკალით განიზომება 1-დან 8,75-მდე სეისმოგრამების მიხედვით. როგორც ცნობილია, მიწისძვრები სხვადასხვა სიხშირით ხდება და ამიტომ არასპეციალისტისათვის მოულოდნელია. მაგრამ ეს შემთხვევითი, ქაოსური კი არა, კანონზომიერი მოვლენებია. ისინი ხდება მხოლოდ აქტიური ნარღვევების ზონაში — იქ, სადაც აღმართულია მთის ქედები, ჩაიზნიქება მომიჯნავე ღრმულები ან გადაადგილდება მთის ბაქნები.

ამის შედეგად მთის მასები ნარღვევების გასწვრივ გადაადგილდება, რომლებიც განლაგებულია მოძრაობის სიჩქარით ან მოძრაობის მიმართულებით განსხვავე-

...

იქმნას ნარღვევებით განპირობებული სეისმოგენური ზონების დადგენისა და შესწავლის სახელმწიფო პროგრამა. ეს კარგ ნაყოფს მოგვცემს. საბჭოთა კავშირის ზოგიერთი რეგიონისათვის გამოქვეყნებულია სეისმური დარაიონებისა და სეისმოგენური ზონების რუკები. ამან საშუალება მოგვცა სწორად გვეწინასწარმეტყველებინა 28 დამანგრეველი მიწისძვრის ადგილი, მაგნიტუდა, ინტენსიურობა და სხვა მახასიათებლები. ეს უწინარეს ყოვლისა საჭიროა მიწისძვრების დამღუპველი შედეგების შესამცირებლად.

ი. გუბინი,
სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
„იზვესტია". 1988 წ. 11/XII.

ტელევიზია—ხუთშაბათი, 15 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა 12.30— ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემპიონის დაბრუნება". 13.00 — „ნაშუადღევს". 13.45 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 14.15 — ათლეტიზმი. 14.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 15.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.35 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.05 — დოკუმენტური ფილმი „ჩვეულებრივი ფაშიზმი". II სერია. 17.10 — „ჯადოსნური ეკრანი". 17.25 — „ამაგდარი" — აპოლონ ნუცუბიძე (განმეორებით). 17.50 — მოსწავლეთათვის. „ძლევაი საკვირველი". 18.30 — საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი (მიმოხილვა). 19.00 — საქართველოს ისტორია და ქართული ტელეფილმი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა" (ფილმი პირველი — „საკუთარი თავის ძებნაში"). 20.00 — მოამბე. 20.35 — წერილის დღე. 20.40 — „ვერტიკალი". პუბლიცისტური პროგრამა. 21.50—წერილის დღე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — კონცერტი „უკრავს მარგარიტა ჩხეიძე".

მეორე პროგრამა. 18.25— — კინოჟურნალი. 18.35 — მხატვრული ფილმი „მაპატიე, ალიოშა!" 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე". II სერია.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — წყაროები. 10.05 — მულტფილმები. 10.35 — ადამიანის ინსტიტუტი. 11.35 — ახალი ამბები. 11.45 — მხატვრული ტელეფილმი „ჯეინ ეარი". IV სერია. 16.30 — ახალი ამბები. 16.45 — ნ. რიმსკი-კორსაკოვი — სიმფონიური სუიტა „შაჰრაზადა". 17.30 — დოკუმენტური ტელეფილმები. 18.20 — ახალი ამბები. 18.25—„...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 19.10 — ადამიანი და კანონი. 19.40 — დღეს მსოფლიოში. 19.55 — საქმიან ადამიანთა შეხვედრა ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში. მეორე გადაცემა. 21.05 — მხატვრული ტელეფილმი „ჯეინ ეარი". IV სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ჩვენთან ოსტანკინოში. სპორტი ტელეეკრანზე. 0.35 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — „პოლოცკის მარგალიტი". სამეცნიერო-პოპულარული ფილმი პოლოცკის ისტორიულ-არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ნაკრძალზე. 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. III კლასი. 10.05 და 12.05 — ესპანური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ზოგადი ბიოლოგია. 11.35 და 12.35 — ბიოლოგია. VII კლასი. 13.05 — მხატვრული ტელეფილმი „ზალცბურგელი ბატონი". 14.20 — ახალი ამბები. 14.25 — „ნივაში: პრობლემები და პერსპექტივები". კრასნოპერეკოპის ეკოლოგიური მდგომარეობა. 14.55 — განმეორებითი ტელეფილმის დღის სეანსი. „აქა მშვიდობა". II სერია. 18.45 — ახალი ამბები. 18.55 — სოფლის საათი. 20.00 — რიტმული ტანვარჯიში. 20.30 — უსაფრთხო მოძრაობა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „მესიზმრა ბაღი". 21.25 — ახდილი როიალი. სიტყვა მასწავლებელზე. გ. გ. ნეიგაუზი. 22.00 — „ვრემია" 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — რუმინული მხატვრული ფილმი „სიყვარული ყველაფერზე ძვირფასია". 24.00 — ახალი ამბები.

КРИВИ

პრიზიორები ხვალ გამოვლინდებიან

თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გრძელდება ჭაბუკ მოკრივეთა მეშვიდე საერთაშორისო ტურნირი გაზეთ

„ვეჩერნი ტბილისის" პრიზზე. შეჯიბრების სტარტზე წარუმატებლად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. ექვსი მოკრივე დამარცხდა, მხოლოდ თბილისელმა მძიმეწონოსანმა არმენ ბურდიანცმა შეძლო მეორე წრეში გასვლა. ხელი მოეცარა კუბის ნაკრებსაც, რომელიც ადრე უძლიერესი შემადგენლობით ჩამოდიოდა თბილისში. კუბელთაგან ჯერჯერობით მხოლოდ რამონ გარბეამ (75 კგ) მიაღწია წარმატებას. პირველ შეხვედრებში ყველაზე მეტი გამარჯვებები მოიპოვეს საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის მოკრივეებმა.

გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" პრიზის მფლობელები ხვალ გამოვლინდებიან.

სურათზე: ერთ-ერთი ორთაბრძოლის მომენტი.

საჭადრაკო ორბიტა

ჭადრაკი. მექსიკის ქალაქ მასატლანში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში. უკვე გამოვლინდა რვა უძლიერესი მოჭადრაკე, რომლებიც ახლა უკვე ოლიმპიური სისტემით გააგრძელებენ პირველობისათვის ბრძოლას. 13 შესაძლებლიდან 9-9 ქულა მოაგროვეს კარპოვმა, გავრიკოვმა და ვაგანიანმა. 8,5 ქულა აქვს ექვს მოჭადრაკეს, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილის მიხედვით რვა საუკეთესოს შორის ოთხი სპორტსმენი გავიდა,

სპორტის ამბები

მათ შორის საბჭოთა დიდოსტატები — ტუკმაკოვი და ელვესტი.

ამასობაში საფრანგეთში ტურნეს მართავს მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი. ადგილობრივი პოპულარული გაზეთის „ლიბერასიონისა" და სახელმწიფო ტელეარხის „ანტენ-2"-ის ინიციატივით მოეწყო ერთდროული თამაშის სეანსი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო ანგარიშით 89:0.

● **კალათბურთი.** უაღრესად საინტერესო გამოდგა იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში გამართული მატჩი ადგილობრივ „ციბონასა" და კაუნასის „ჟალგირისის" კალათბურთელთა შორის. ლიტველმა სპორტსმენებმა იშვიათი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და დაამარცხეს სახელოვანი მეტოქე — 104:101 (46:58). ეს „ჟალგირისის" მეორე გამარჯვებაა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. კაუნასელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო კურტინაიტისი — 23 ქულა. ხომიჩიუსმა 21 ქულა მოაგროვა, საბონისმა — 18.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: საფრანგეთის „შოლე" — ისრაელის „ჰაპოელი" — 78:87, მადრიდის „რეალი" — იტალიის „შნაიდერო" — 109:92, ... „სტეინერი" — საბერძნეთის ... კი — 89:67.

ძიუდო. კრასნოიარსკში გამართულ ჭაბუკ ძიუდოისტთა საკავშირო პირველობაზე წარმატებით იასპარეზა სოხუმელმა ფალავანმა თამაზ ჰელიძემ. მან ხუთივე შეხვედრა წმინდად მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა.

17 დეკემბერს, როგორც ცნობილია, თბილისში იწყება სტუდენტ ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა გამოაცხადეს გუნდის საბოლოო შემადგენლობა. ნაკრებში ორი ქართველი ძიუდოისტი მოხვდა: სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ამირან ტოტიკაშვილი (60 კგ) და საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი კოބა კურტანიძე (95 კგ). მათთან ერთად ასპარეზობენ კოსმინინი (65 კგ), კანანეროვი (71 კგ), იბრაგიმოვი (78 კგ), მალცევი (86 კგ), შარაპოვი (+95 კგ) და პეჩუროვი (აბსოლუტური კატეგორია).

რედაქტორის მოადგილე
გ. უბერიძე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05653 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, მესამე ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშტარაულის 29

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14